


# ვადომას ტომი – ორთითა ადამიანების ამოუცნობი საიდუმლო



აფრიკის უღრან ტყეში, ზიმბაბვეს და ბოტსვანას შორის მდებარე ტერიტორიაზე ბინადრობს უჩვეულო ტომი, რომელსაც ვადომას ან საპადის უწოდებენ. ტომის წარმომადგენელთა უმეტესობას ფეხის ტერფზე სურ 2 თითი აქვს.

ორთითა ადამიანების შესახებ პირველად ამერიკელებმა მოგზაურმა პოლ დიუ შაიუმ გაიგო. 1863 წელს მან გამოსცა წიგნი, სადაც აღწერა მოგზაურობა აფრიკაში, ასევე ახსენა უჩვეულო ორთითა ადამიანებიც.

100 წლის შემდეგ მათ შესახებ დაწერა ბრიტანურმა „გარდიანმა“. გაზეთი იუწყებოდა, რომ მდინარე ზამბეზის რთურად მისადგომ ადგილებში ორთითა ადამიანები ცხოვრობენ. მკითხველთა უმეტესობამ გამოცემას არ დაუჯრა, თუმცა შემდგომში მსგავსი ინფორმაცია სხვა გაზეთებშიც გამოჩნდა. მარევე ეტნოგრაფმა ბასტერ ფილიპსმაც აღწერა უჩვეულო ტომის წარმომადგენლები, აღნიშნა რა, რომ ისინი სიმალდეში 1,50 მ–დე აღწევენ, ცხოვრობენ ჩაკეტილად, ხოლო კვების რაციონს ძირითადად ვერური მარცვრეულობა, ხიდი და სოკო შეადგენს. სტატიას სხვა პუბლიკაციებიც მოჰყვა, გამოქვეყნდა ასევე აფრიკელი ორთითა ადამიანების ფოტოსურათები. ამის მიუხედავად მეცნიერებს ყოველივე მისტიფიკაციად მიაჩნდათ.

მხოლოდ 1971 წელს შედგა პირველი სამეცნიერო ექსპედიცია ორთითა ტომის შესასწავლად. მეზობელი ტომების დახმარებით მეცნიერები

ვადომას ტომი გაიცნეს და გამოიკვდიეს. მათი ვარაუდით, უჩვეულო ფეხის ფორმა ახდონათესაური ქორწინების შედეგი იყო. სხვა ვერსიით, ანთმაღლის ბრადი უცნობი ვირუსი გახდა. ყოველ შემთხვევაში დადგინდა, რომ „მარწუხის სინდრომზე“ პასუხისმგებელი გენი ღმინანტურია. ანუ, ბავშვი ერთი მშობლისგანაც მიიღებს ამ გენს და ორთითა დაიბადება.

პროფესორ ფილიპს ტობიასის აზრით, ეს მუტაცია ბუნებრივი შერჩევის შედეგადაც არ გაქრება, რადგან მათ ხელს არაფერში არ უშლის: ვადომას წარმომადგენლები ძარიან სწრაფად დარბიან, ხიდან ხეზე მამიმუნები ვით ხტებიან, ხორც ხეზე ასურებს შეუძლიათ ზედიზედ რამოდენიმე დღე გაატარონ ხიდის კრეფაში.



ვადომას დეგენდის თანახმად ტომის სამშობლო – წითელი ვარსკვლავი რიტორაფსია, რომედსაც დანარჩენი ადამიანები პრანეტა მარსს უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ ვადომას ტომის წარმომადგენლები შესანიშნავად ფლობენ მედიცინას და ფარმაცევტიკას – პრიმიტიული იარაღისა და ვერური მცენარეების დახმარებით ისინი სერიოზულ სნეულებებს კურნავენ და რთულ ოპერაციებსაც ატარებენ.

[www.premiumi.ge](http://www.premiumi.ge)